



საჯარო სამართლის იურიდიული პირი –  
განათლების ხარისხის განვითარების  
ეროვნული ცენტრის დირექტორის  
ბრძანება



MES 1 22 0000849047



27/07/2022

**„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 ნოემბრის №1167326 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის მოადგილის 2022 წლის 26 ივლისის №841619 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვბრძანებ:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2021 წლის 01 ნოემბრის №1167326 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა შერჩევის, საქმიანობისა და ექსპერტთა კორპუსის წევრობის შეწყვეტის წესის“:

**ა) მე-3 მუხლის:**

**ა.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„1. ექსპერტთა კორპუსი შედგება ზოგადი განათლების სფეროში გამოცდილების მქონე სპეციალისტების - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივი ექსპერტებისგან (შემდგომში - საგნობრივი ექსპერტი), რომლებსაც გააჩნიათ კომპეტენცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურისათვის კანონმდებლობით დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად გამოყენებული სასკოლო კურიკულუმის საგნების/საგანთა ჯგუფების ფარგლებში სწავლა-სწავლების პროცესების შეფასებისათვის.“;

**ა.ბ) პირველი პუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი:**

„1<sup>1</sup>. საგნობრივი ექსპერტები შეირჩევიან შემდეგი ჯგუფების მიხედვით:

- ა) სახელმწიფო ენა;
- ბ) მათემატიკა;
- გ) უცხოური ენები;
- დ) საზოგადოებრივი მეცნიერებები;
- ე) საბუნებისმეტყველო მეცნიერებები;
- ვ) ტექნოლოგიები;
- ზ) ესთეტიკური აღზრდა;
- თ) სპორტი;
- ი) ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური.“;

**ა.გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სასკოლო კურიკულუმის სპეციფიკის გათვალისწინებით, ექსპერტთა კორპუსში შესაძლოა შეყვანილი იქნეს ამ მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ჯგუფებით გათვალისწინებული კომპონენტების შეფასების კომპეტენციის მქონე საგნობრივი ექსპერტები, თუ სასკოლო კურიკულუმი მოიცავს ისეთ კომპონენტს, რომელიც არ მიეკუთვნება რომელიმე საგნობრივ ჯგუფს.“;

**ბ) მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-9 პუნქტი:**

„9. საგნობრივ ექსპერტთა შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპებიც, მათ შორის სპეციალური კურსის გავლა, რომლის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

**გ) მე-6 მუხლის:**

**გ.ა) პირველი პუნქტის:**

**გ.ა.ა) „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ა) საგნობრივი ჯგუფის სპეციალისტის კომპეტენცია, რაც დასტურდება შესაბამისი უმაღლესი განათლებით ამ წესის მე-3 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის „ა“-„ვ“ და „ი“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტებისთვის ან შესაბამისი პროფესიული განათლებით, ამ წესის მე-3 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის „ზ“ და „თ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტებისთვის. ამასთან, ამ წესის მე-3 მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნობრივი ექსპერტებისთვის დამატებით მათემატიკისა და სახელმწიფო ენის კომპეტენცია;

ბ) ბოლო 10 წლის მანძილზე შესაბამისი საგნობრივი მიმართულებით სწავლა-სწავლების სფეროში მუშაობის ან სკოლაში შესაბამისი საგნის სწავლების არანაკლებ 3 წლის გამოცდილებით.“;

**გ.ა.ბ) „ე.ე“ ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;**

**გ.ბ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. ამ წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის საგნობრივ ექსპერტებს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამართლებრივი აქტების ცოდნა (გარდა „ე.ბ“ და „ე.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აქტებისა) მოეთხოვებათ ვიზიტის დაწყებამდე.“;

**დ) მე-9 მუხლის:**

**დ.ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და საქმიანობის სპეციფიკის შესაბამისად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირების, მასში მიმდინარე პროცესებისა და სპეციფიკის ცოდნა, რაც დასტურდება ბოლო 10 წლის განმავლობაში არანაკლებ 3 წლიანი სამუშაო გამოცდილებით შესაბამის სფეროში (სასურველია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციაში მუშაობის გამოცდილება);“;

**დ.ბ) „გ.ვ“ - „გ.ლ“ ქვეპუნქტები ამოღებული იქნეს;**

**ე) მე-11 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„3. სერტიფიცირების გამოცხადების შესახებ ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა განისაზღვროს კონკურსის დამატებითი ეტაპებიც, მათ შორის, სპეციალური კურსის გავლა, რომლის შინაარსი და მოცულობა განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“;

**ვ) მე-12 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

**„მუხლი 12. სააპელაციო კომისია**

1. სერტიფიცირების ან საგნობრივ ექსპერტთა კონკურსის პროცესში მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების მექანიზმის შექმნის უზრუნველსაყოფად, ცენტრის დირექტორი უფლებამოსილია შექმნას სააპელაციო კომისია.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისია (შემდგომში - კომისია) უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი. კომისიას ჰყავს თავმჯდომარე, რომელიც განისაზღვრება ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. კომისიის თავმჯდომარის არ ყოფნის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ასრულებს კომისიის დამსწრე წევრთა მიერ არჩეული ერთ-ერთი წევრი.
3. კომისია განიხილავს საჩივრებს სერტიფიცირების ან კონკურსის მიმდინარეობის პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით;
4. კონკურსანტს უფლება აქვს მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს გადაწყვეტილების გაცნობიდან 10 კალენდარული დღის ვადაში;
5. კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და დამსწრე წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს დააფიქსიროს განსხვავებული აზრი, რაც აისახება კომისიის სხდომის ოქმში.
6. კომისია უფლებამოსილია საჩივრის განხილვისას განმარტებების მიღების მიზნით მოიწვიოს კონკურსანტი, საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის ან/და სამდივნოს წევრები;
7. კომისიის მიერ მიიღება გადაწყვეტილება საკონკურსო ან სერტიფიცირების კომისიის გადაწყვეტილების ძალაში დატოვების ან შესაბამისი კომისიისათვის საკითხის ხელახალი განხილვის მიზნით დაბრუნების შესახებ;
8. კომისიის სხდომა შესაძლოა ჩატარდეს დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებების გამოყენებით.
9. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, შესაბამისი ოქმის შედგენიდან 5 კალენდარული დღის ვადაში ინდივიდუალურად ეცნობება საჩივრის ავტორს, მის მიერ მითითებული ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით.
10. კომისიის მიერ საქმიანობის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ცენტრის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით ცენტრის თანამშრომლებისგან

იქმნება კომისიის სამდივნო, რომელიც უზრუნველყოფს კომისიის სხდომის ოქმების შედგენას, წარმოებასა და საჩივრის ავტორისათვის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაცნობას."

2. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული  
ცენტრი  
დირექტორი  
მახარაშვილი თამარ

